პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1972 წ.
№ 101 (4611)
25 მაისი, ხუთშაბათი.
ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პროფსაბჭოში

# გამარჯვებულს ყოველწლიურად გამოავლენენ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო უდიდეს ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების მამოძრავებელ ძალას, როგორც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების საწინდარს. ამ საყოველთაო ღონისძიების როლს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი განვითარების შესახებ“.

სოციალისტურ შეჯიბრებას ფიზკულტურისა და სპორტის ამაღლობაშიც დიდი საქმის გაკეთება შეუძლია, რაც არაერთხელ დადასტურებულა. ამ მხრივ ერთობ მდიდარი გამოცდილება აქვთ საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებს, რომელთა დაუღალავი შრომის წყალობით ჩვენი რესპუბლიკა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალ დროშას აგერ მერამდენე წელია ინარჩუნებს.

ამას წინათ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებს შორის ფიზკულტურულ-მასობრივი, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის კეთ დაყენებისთვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის თაობაზე და სათანადო დადგენილებაც მიიღო.

პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ წლევანდლიდან პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებების საბჭოებს შორის გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება, რომლის შედეგები ყოველწლიურად შეჯამდება და საუკეთესო ორგანიზაციები ცალ-ცალკე საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით, სიგელებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდებიან, II და III ადგილებზე გასული პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები და სპორტსაზოგადოებათა საბჭოები — ვიმპელებითა და სიგელებით, ხოლო იმ პირთ, რომლებიც შეჯიბრებაში თავს განსაკუთრებით გამოიჩენენ, პრემიები მიეცემათ.

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლე ახალგაზრდობის საერთო რიცხვთან ფიზკულტურელთა პროცენტული შეფარდება; მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლე ახალგაზრდობის საერთო რიცხვთან სპორტსაზოგადოების წევრთა რიცხვის პროცენტული დამოკიდებულება; სპორტსაზოგადოების საწევრო ანარიცხების შეგროვების შეფარდება ფიზკულტურელთა საერთო რაოდენობასთან; საწარმოდაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტკლუბებში შრომისა და სწავლის რეჟიმში საწარმოო ტანვარჯიშში მომეკადინე მუშა-მოსამსახურეთა, მოსწავლეთა საერთო რაოდენობასთან პროცენტული შეფარდება; წლის წინძილზე მომზადებული საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატების, სსრ კავშირის სპორტის ოსტატების, სპორტის ოსტატობის კანდიდატების, თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების მომზადება ცალ-ცალკე.

პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტები, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოები სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს საქართველოს პროფსაბჭოს გამარჯვებულთა გამოსავლენად ყოველწლიურად 1 მარტამდე წარუდგენენ. გამარჯვებულად ჩაითვლება ის რესპუბლიკური კომიტეტი, სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ყველა მაჩვენებლის მიხედვით უმცირეს საჯარიმო ქულას მიიღებს. ყველა პუნქტში ცალ-ცალკე უმლიერესი ორგანიზაცია მიიღებს ერთ საჯარიმო ქულას. II ადგილზე გასული — 2, III — 3 ქულას და ა. შ.

პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებს რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობისთვის დაეწერებათ იმდენი საჯარიმო ქულა, რამდენი კოლექტივიც მონაწილეობს სოციალისტურ შეჯიბრებაში, პლუს 1 ქულა.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა „განთიადის“, „სპარტაკის“, „ბურევესტნიკის“, „ლოკომოტივის“, „ვოდნიკის“ საბჭოებს დაავალა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებთან, რესპუბლიკურ, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებთან, საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებთან ერთად ყველა საწარმო-დაწესებულებაში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების გეგმების შესასრულებლად, დაამუშაონ ღონისძიებანი შეჯიბრების სისტემის სრულყოფისთვის, აქტივისტთა ინიციატივის გაფართოებისთვის; სოციალისტური შეჯიბრება გამოიყენონ პროფკავშირული სპორტის მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცებისთვის, საზოგადოებრივ საწყისებზე მარტივი ტიპის სპორტნაგებობათა მშენებლობისთვის.

# როლები შეიცვალა

სსრ კავშირისა და გდრ-ის „დინამოს“ იუნიორ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის მეორე დღეს სარბიელზე გოგონები გამოვიდნენ. თუ ჭაბუკთა შეჯიბრებას ტონი საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა მისცეს, ახლა პირიქით მოხდა: სტუმრების გოგონათა გუნდი საკმაოდ მომზადებული გამოდგა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მასპინძლებს. განსაკუთრებით კარგად ასპარეზობდა კ. კუნპარტი, რომელმაც ჩინებულად ივარჯიშა დვირზე (9,4), მშვენივრად გადახტა (9,3) და თავისუფალ ვარჯიშშიც (9,3) გამოიჩინა თავი. მას შედარებით მოკრძალებული შედეგი ჰქონდა ორძელზე (9,15).

არავინ იცოდა, შეძლებდა თუ არა გერმანელი გოგონა უპირატესობის შენარჩუნებას, ვინაიდან საბჭოთა გუნდში საკმაოდ მაღალი ოსტატობა გამოავლინეს და თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს ბათუმელმა ქ. გოგიჩაიშვილმა და ალმაათელმა ვ. კუჩაროვამ. ქართველმა გოგონამ განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თავისუფალ ვარჯიშში. ქართული საცეკვაოსა და რთული აკრობატული ილეთების ნაერთის ჩინებულად შესრულებამ თბილისელი მაყურებლების ტაში დაიმსახურა. მაგრამ ქეთევანს ერთი, უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი შეცდომა მოუვიდა: ვარჯიშის დასკვნით ნაწილში სარბიელის ზღვარს გადააბიჯა. ეს მსაჯებს, ცხადია, არ გამოჰპარვიათ. საბოლოოდ მან 9,25 ქულა მიიღო. გოგიჩაიშვილს დვირზე ურთულესი ილეთებისგან შედგენილი კომბინაცია ჰქონდა. მან ყველა სიძნელე წარმატებით დაძლია და 9.35 ქულა დაიმსახურა. ხტომაში გოგიჩაიშვილის შედეგია 9,2 ქულა. მას სულ ცოტა დააკლდა, რომ გერმანელი სპორტსმენისთვის გაესწრო.

კუნპარტს გარდა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრების წარმომადგენლებმა ბ. ბახმა და ჰ. გერეშმა.

ოთხი იარაღის შემდეგ (ტანმოვარჯიშეები მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით გამოდიოდნენ) ადგილები ასე განაწილდა: კუნპარტი — 37,0 ქულა, გოგიჩაიშვილი — 36,95, კუჩაროვა — 36,9, ბახი — 36,65, გერეში — 36,55.

გუშინ საერთაშორისო მატჩის მონაწილენი ერთმანეთს ცალკეულ იარაღებზე ეჯიბრებოდნენ.

ა. მურუსიძე.

* * *

სურათებზე: გ. რაჭველიშვილი რგოლებზე ვარჯიშის დროს; გდრ-ის „დინამოს“ ტანმოვარჯიშე გოგონათა გუნდი.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ტანვარჯიში

19$^{45}$

◆ ლონდონი, 24 მაისი. „უემბლის“ სტადიონზე დიდი ბრიტანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებმა დაამარცხა ინგლისის ეროვნული გუნდი — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი 33-ე წუთზე გაიტანა მოთამაშე მწვრთნელმა ტ. ო'ნეილმა. მანამდე შოტლანდიელებმა აჯობეს ჩრდილოეთირლანდიელებს (2:0), ხოლო ინგლისელებმა — უელსის ნაკრებს (3:0). დარჩა ორი მატჩი: ინგლისი — შოტლანდია და შოტლანდია — უელსი.

◆ ბამაკო, 24 მაისი. აფრიკის I შესარჩევი ჯგუფიდან ოლიმპიური ტურნირის ფინალში გავიდა მაროკოს ფეხბურთელთა ნაკრები, რომელმაც მალის გუნდს სძლია — 4:1.

◆ მადრიდი, 24 მაისი. ესპანეთისა და ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. ბურთები გაიტანეს ვალდესმა (მე-8 წ.) და გარატემ (78).

# ზაფხულის ოლიმპიადის დედაქალაქში

მოსკოვი, 23 მაისი. ზაფხულის XX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მიწვევით დღეს მიუნხენს გაფრინდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დელეგაცია, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი ხელმძღვანელობს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სტუმრობის დროს დელეგაცია განიხილავს ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობის საკითხებს და დაესწრება ოლიმპიური სტადიონის გახსნის ცერემონიალს (როგორც ცნობილია, 26 მაისს ამ სტადიონის მინდორზე ამხანაგურ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს გფრ-ისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები).



# მეზღვაურთა მეგობრობის თასი

ვლადივოსტოკი, 23 მაისი. მეზღვაურთა პოპულარული სპორტული პრიზის — ინტერნაციონალური მეგობრობის თასისთვის ბრძოლა ძალიან გამძაფრდა. ამას მოწმობს რადიოგრამები, რომლებიც „ვოდნიკის“ წყნარი ოკეანის აუზის საბჭოს მოსდის.

ტარდება შეხვედრები ფეხბურთში, ფრენბურთში, სიმძიმეების აწევაში, მაგიდის ჩოგბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში. ლიდერობენ თბომავლების „იმანის“, „კონსტანტინე პაუსტოვსკის“ და „გენერალ პანფილოვის“ ეკიპაჟები. შორეული აღმოსავლეთის ლენინის ორდენოსანი საზღვაო სანაოსნოს 200-ზე მეტი გემის ფიზკულტურის კოლექტივებთან ერთად თასისთვის იბრძვიან პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იაპონიის, კუბის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მეზღვაურები.

დებულებით, გარდა იმ გემების ეკიპაჟებისა, რომლებსაც რეგულარული რეისები აქვთ წყნარ და ინდოეთის ოკეანეებში, ასპარეზოდ დაიშვებიან საპორტო ქალაქების დოკერთა, უნივერსიტეტებისა და კოლეჯების მოყვარულთა გუნდებიც. ჯამში პრიზისთვის 8 ათასზე მეტი ადამიანი იბრძვის.

გუნდების მატჩები ეწყობა პორტებში ხანმოკლე გაჩერების დროს, საწვრთნელი მეცადინეობები კი გემებზე ტარდება.

თასის გათამაშების დევიზი ასეთია: „ოკეანეები და ზღვები ხალხებს აერთიანებენ“. დიახ, ამ შეჯიბრებაში მთავარი მეგობრობაა. ამხანაგურ შეხვედრებს ოკეანის სანაპიროზე განლაგებული ქალაქების ათიათასობით მცხოვრები ადევნებს თვალს.

ინტერნაციონალური მეგობრობის თასის გათამაშების საბოლოო შედეგები სსრ კავშირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესთვის შეჯამდება. „ვოდნიკის“ წყნარი ოკეანის საბჭომ ეს უკვე მესამე პრიზი დააწესა. მანამდე ჯერ იაპონიის ზღვის თასის გათამაშება ჩატარდა, მერე კი წყნარი ოკეანის თასისა.

საზღვაო მოგზაურობა

სპორტი — ადამიანის ღირსებისა და ხასიათის სარკე

# ყველა ერთისთვის, ერთი?..

## ეს ხომ ამხანაგების ღალატია!

დიდებული რამ არის სპორტი! ყველა სხვა ღირსებასთან ერთად იგი ქადაგებს ვაჟკაცობას, კეთილშობილებას, გამტანობას, თუ გნებავთ, თავგანწირვასაც კი. სპორტი უკეთილშობილესი სტიქიონია, რომლის ქურაშიც ნაწრთობი კაცი განწმენდილი და გასპეტაკებული გამოდის. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს და მეტწილად ასეცაა.

ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა უღალატოს ნამდვილმა სპორტსმენმა მშობლიურ კოლექტივს, მეგობარ-ახლობლებს, ვისთან ერთადაც წლების მანძილზე ასპარეზობს, სწავლობს, ვისთანაც ერთ ჭერქვეშ ბევრი ღამე თეთრად გაუთენებია საპასუხისმგებლო შეჯიბრებების წინ. ამიტომაც არის, რომ გუნდი ერთ მთლიან, შესისხლხორცებულ კოლექტივად წარმოგვიდგება, რომელიც, მართალია, ცალკეული წევრებისგან შედგება, მაგრამ ერთი მისწრაფება, ერთი ნება აერთიანებს. საკმარისია თუნდაც ერთმა მათგანმა უგულებელყოს გუნდის ინტერესები, რომ კოლექტივში უზარმაზარი ბზარი ჩნდება. ამ ბზარის შევსება კი, ვისაც შეჯიბრებების დენთი ერთხელ მაინც უყნოსია, მიგვიხვდება — ძნელზე ძნელია.

იქნებ ამიტომაც ერთობ მტკივნეულად აღვიქვამთ, როცა სპორტსმენი კოლექტივს განუდგება, გამოეცლება მოულოდნელად, სწორედ იმ მომენტში, როცა იგი „შეუცვლელია" და, რათა ასეთი რამ არასოდეს მოხდეს, ყოველი მსგავსი შემთხვევა საგანგებო მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

ალბათ მიგვიხვდით, რომ ჩვენ კონკრეტული შემთხვევა გვაქვს მხედველობაში. მაგრამ ვიდრე გულისტკივილს გამოვთქვამდეთ, გვინდა ერთ ფრიად საყურადღებო სპორტულ ეპიზოდზე გიამბოთ.

ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. სპორტსმენთა ახლანდელ თაობას მის შესახებ დანამდვილებით არაფერი ეცოდინება. ამბავი კი ეხება გამოჩენილ ქართველ სპორტსმენს, საბჭოთა კალათბურთის მშვენებას ნოდარ ჯორჯიკიას. საბჭოთა კავშირის სხვა აღიარებულ ლიდერებთან ერთად ნოდარს დიდი პატივი ხვდა წილად: ჰელსინკის ოლიმპიადის მონაწილე გახლდათ. ოლიმპიადის დაწყებამდე სულ ცოტა დრო რჩებოდა. საბჭოთა ნაკრები ლენინგრადის მახლობლად საგულდაგულოდ ემზადებოდა ამ დიდი ასპარეზობისთვის.

საყოველთაო განცვიფრებას იწვევდა, რომ ნოდარი წინასაოლიმპიადო საწვრთნელ შეკრებაზე არ ჩანდა. ამ ამბავმა ნაკრების მწვრთნელები შეაფიქრიანა: ჯორჯიკია ხომ გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ. დეპეშას დეპეშაზე აგზავნიდნენ. ნოდარი კი ამ დროს თურმე თანაკურსელებთან ერთად აზარტულად თამაშობდა ფრენბურთს: ჰელსინკის ოლიმპიადაში მონაწილე გუნდის ნაღდი კანდიდატი თავისი ფაკულტეტის ღირსებას იცავდა უნივერსიტეტის პირველობაში!

დაგვერწმუნეთ, ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კუთხურ" პატრიოტიზმს, სინამდვილეში კი მშობლიური კოლექტივის სპორტული ღირსებისადმი ზედმიწევნით ერთგულ დამოკიდებულებას, ოდნავადაც არ შეუშლია ხელი დიდი სპორტსმენისთვის, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილიყო ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებში.

არა, ამ შემთხვევას ცნობილი სპორტსმენის „კაპრიზად" ნუ მივიღებთ. ეს იყო მისი პატივისცემის, სოლიდარობის ერთი საგულისხმო გამოხატულება თავისი სტუდენტი ამხანაგების მიმართ, რომლებმაც ნოდარს დახმარება სთხოვეს „შინაურ" შეჯიბრებაში. რა წააგო ამით ნოდარმა? არაფერი. პირიქით, გვარიანად ივარჯიშა, არც მეგობრები დააღალატა და საწვრთნელ შეკრებაზეც გამოცხადდა.

აი, ასე იქცევა ნამდვილი სპორტსმენი, მეგობარი, ამხანაგი...

გამოადგება თუ არა ეს შემთხვევა ზოგიერთ „თანამედროვე" ახალგაზრდა სპორტსმენს, რომელსაც არც წინასაოლიმპიადო შეკრებაზე მიეჩქარება და არც სპორტული დიდების ტვირთი ამძიმებს მაინცდამაინც? მიუხედავად ამისა, მათ, როგორც იტყვიან, ჩირადაც არ უღირთ მშობლიური კოლექტივის ინტერესები. როცა კოლექტივი სჭირდებათ, გაგიხარიათ, ერთობ მოწადინებულიც არიან, მაგრამ საკმარისია გუნდმა კრიტიკულ მომენტში მათ უხმოს, რომ...

ამ დღეებში თბილისში, ვაკის საფარიკაო დარბაზში, დამთავრდა უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური პირველობა. თავისთავად, ასეთი შეჯიბრებები მრავალმხრივ საყურადღებოა. ეს არის ახალგაზრდა, პერსპექტიულ სპორტსმენთა პაექრობა, რომელიც საკავშირო სარბიელზე გამოსვლის თავისებური პრელუდიაა. სად, თუ არა ამ შეჯიბრებაში, უნდა გამოსცადონ თავიანთი ძალა და ოსტატობა ახალგაზრდა მუშკეტერებმა? ამიტომაც სტუდენტთა ასპარეზობის სიუჟეტი წლიდან-წლამდე ერთობ საინტერესოა. თქმა არ უნდა, ამ ასპარეზობაში გასაგები მიზეზის გამო ყველა უჩვეულო თავგამეტებასა და მიზანსწრაფვას იჩენს. ასეა მუდამ, როცა ტურნირის შემადგენლობა ახალგაზრდულია.

თქვენ ალბათ მოელით შეჯიბრების შედეგების ანალიზს. გვერწმუნეთ, თავიდან ჩვენც ასე გვქონდა გადაწყვეტილი, ერთი ფრიად არასასიამოვნო, სპორტსმენის ღირსებისთვის ზედმიწევნით შეუფერებელი ფაქტის მოწმენი რომ არ გავმხდარიყავით.

მაშ ასე, ფარიკაობის დარბაზში თავი მოიყარა სტუდენტ მუშკეტერთა მთელმა „ელიტამ". ტრადიციულად ჩემპიონის სახელისთვის ერთმანეთთან უშეღავათო პაექრობა აქვთ უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოფარიკავეებს. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა. მუშკეტერთა ამ ორმა გვარდიამ მართლაც შედარებით იოლად გაიკვლია გზა ფინალური შეხვედრისკენ. აი, ამ დროს გუნდის თითოეული ძირითადი წევრი, როგორც ამბობენ, „ოქროს ფასად" ღირს. ერთმა შეხვედრამაც კი შეიძლება მკვეთრად შეცვალოს ძალთა თანაფარდობა, გუნდის ლიდერის არყოფნამ კი შესაძლოა წყალში გადაყაროს კოლექტივის ნაამაგარი.

დიახ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა სახუმარო საქმე არ გახლავთ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა გამოიყვანა ყველა თავისი საუკეთესო მოფარიკავე, ერთის გარდა...

სწორედ ამ ერთზე გვინდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ტრისტან ნოზაძე ახალბედა მოფარიკავე არ არის: უკვე რამდენიმე წელია სპორტის ოსტატის სახელს ატარებს. ნიჭიერი მოფარიკავე გარდა იმისა, რომ საქართველოს ნაკრების წევრია, სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრების კანდიდატიც გახლავთ. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, იგი ბევრ დიდ შეჯიბრებაში გამოსულა, კერძოდ, მონაწილეობდა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში, კუბაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში და სხვა საპასუხისმგებლო ასპარეზობებში.

ერთი სიტყვით, ვის ვის და, ნოზაძეს არ ესწავლება, თუ რა არის შეჯიბრება, მეგობარ-ამხანაგების მხარდაჭერა, მოფარიკავის პასუხისმგებლობა მშობლიური კოლექტივის მიმართ. მეტიც, საბჭოთა ნაკრების წევრობის კანდიდატს შეუძლია და ევალება კიდეც რჩევა-დარიგება მისცეს შედარებით ახალგაზრდა სპორტსმენებს, შეუძლია, ევალება...

ეს სიტყვები, სამწუხაროდ, ნოზაძისთვის სულაც არ ყოფილა სავალდებულო და ანგარიშგასაწევი. ნოზაძეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის ღირსება უნდა დაეცვა. მას ჯერ სთხოვეს, მერე მოსთხოვეს... სთხოვდნენ მწვრთნელები, პედაგოგები, თანაგუნდელები, თანაკურსელები. ტრისტანმა კი ყურიც არ შეიბერტყა. უფრო მეტიც, შეჯიბრების დღეებში საფარიკაო დარბაზში თვალითაც არავის უნახავს. ამ დარბაზში კი თავგამეტებით იბრძოდნენ მისი თანაგუნდელები.

შეუცვლელი არავინ არის. ნოზაძის მაგიერ მოფარიკავის კოსტიუმი სხვა, შედარებით გამოუცდელმა მუშკეტერმა ჩაიცვა. გუნდმა ყველაფერი გააკეთა, რათა ულიდერობა შეჯიბრების საბოლოო შედეგს არ დასტყობოდა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოფარიკავეებმა ამჯერადაც ძნელ ბრძოლაში შეძლეს გამარჯვება, მაგრამ ამ წარმატებას [illegible] დგა არა გუნდის წევრების მიზეზით, არამედ ნოზაძის არასპორტული, არაჯენტლმენური საქციელის გამო. დავუშვათ, ეს არ ყოფილიყო სპორტული ასპარეზობა, არამედ უფრო საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი რამ, სადაც დეზერტირობა ღალატის ტოლფასია!

დიახ, სპორტში, ისევე როგორც ცხოვრებაში, მკაფიოდ ცნაურდება ადამიანის ღირსება და ხასიათი.

ახლა კი თავად შეჯიბრების შესახებ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებს შორის წარიმართა. ფარიკაობის ცალკეულ სახეობებში გამარჯვებამ საერთო ჩათვლაში (127 ქულა) წარმატება მოუტანა პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს. მეტოქეს 10 ქულით ჩამორჩა უნივერსიტეტის გუნდი. 74 ქულით III ადგილი დაიკავეს ფიზკულტურის ინსტიტუტის მოფარიკავეებმა.

**ა. გოგელია,**
სპორტის ოსტატი.

* * *

გთავაზობთ შეჯიბრების პრიზიორთა სიას:

**ხმალი.** 1. თ. ესართია (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), 2. მ. სახვაძე (უნივერსიტეტი), 3. გ. ლორთქიფანიძე (ფიზკულტურის ინსტიტუტი). გ უ ნ დ უ რ ი. 1. უნივერსიტეტი, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი.

**რაპირა.** ვ ა ჟ ე ბ ი. 1. მ. გუგუშვილი, 2. რ. ლომთაძე (ორივე — უნივერსიტეტი), 3. მ. კოლპოვი (ფიზკულტურის ინსტიტუტი). გ უ ნ დ უ რ ი. 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. უნივერსიტეტი, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი. ქ ა ლ ე ბ ი. 1 დ. ჩიქოვანი (უნივერსიტეტი), 2. ს. სვანიძე, 3. დ. ბუხრაშვილი (ორივე — პოლიტექნიკური ინსტიტუტი). გ უ ნ დ უ რ ი. 1. უნივერსიტეტი, 2. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი.

**დაშნა.** 1. თ. მანაგაძე, 2. დ. დავითიშვილი (ორივე — პოლიტექნიკური ინსტიტუტი), 3. ე. ირემაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი). გ უ ნ დ უ რ ი. 1. პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. უნივერსიტეტი, 3. ფიზკულტურის ინსტიტუტი.

# რა მოხდა ულიანოვსკში?

*„ამას წინათ ულიანოვსკში ჩატარდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი. გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ჩემპიონი რ. რურუა ერთ-ერთ შეხვედრაში დამარცხდა. რა მოხდა მერე, რა ბედი ეწია ჩემპიონს, ვეღარ გავიგეთ. ვიცით მხოლოდ, რომ ქართველი მოჭიდავე პრიზიორებში ვერ მოხვდა.*

*ძვირფასო რედაქცია! ჭიდაობის თბილისელ გულშემატკივრებს გვაინტერესებს ყველაფერი, რაც ჩვენი სახელოვანი თანამემამულის სახელთანაა დაკავშირებული. გვაინტერესებს ისიც, თუ როგორ გამოვიდნენ ამ ჩემპიონატში სხვა ქართველი მოჭიდავეები. ამიტომ გთხოვთ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ ულიანოვსკის ტურნირზე".*

*რედაქცია ასრულებს თბილისელი გულშემატკივრების თხოვნას. ვბეჭდავთ კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელის ზ. ქორიძის ინტერვიუს.*

● **თუ არ ვცდებით, ულიანოვსკის საკავშირო ჩემპიონატში საქართველოდან მხოლოდ ხუთი მოჭიდავე გამოდიოდა. რატომ იყო ასე მკაცრად ლიმიტირებული ადგილები?**

— მართალია, საკავშირო ჩემპიონატში ხუთი ჩვენი თანამემამულე იბრძოდა (რომან რურუა, ჯემალ მეგრელიშვილი, თემურ ლეჟავა, თეიმურ ქურციკიძე, ივანე წიკლაური), მაგრამ იმიტომ კი არა, რომ რესპუბლიკას ლიმიტი დაუწესეს. ეს ჩემპიონატი საუწყებო ხასიათისა იყო და მონაწილეებსაც სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდები ასახელებდნენ. საუწყებო ჩემპიონატებში ჩვენი ათლეტები წარუმატებლად გამოვიდნენ და ნაკრები გუნდების შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ. ცხადია, ისინი არც ულიანოვსკში მიიწვიეს.

● **როგორ ფიქრობთ, ხომ არ ექნება ამ ჩემპიონატის შედეგებს გადამწყვეტი მნიშვნელობა სსრ კავშირის ნაკრების დაკომპლექტებისას?**

— ჩემი ღრმა რწმენით, ნაკრების მწვრთნელებმა უკვე დიდი ხანია იციან ვის მოუწევს მიუნხენში გამგზავრება. ასე რომ, ულიანოვსკის შედეგებს, თუ შეიძლება ითქვას, მხოლოდ დამხმარე მნიშვნელობა აქვს. ნაკრების მწვრთნელებმა ზოგი რამ ამ ჩემპიონატში მართლაც შეამოწმეს. ზოგი ახალბედა აღრიცხვაზე აიყვანეს, ზოგს დაუყვავეს, ზოგი შეახურეს, მაგრამ ისინი მაინც მეთვალყურენი იყვნენ და, ვფიქრობ, დიდი არაფერი აღმოჩენა გაუკეთებიათ.

● **გამოდის, რომ რომან რურუას ამ წარუმატებლობის მიუხედავად მიუნხენში გამგზავრების შანსი აქვს.**

— მეტსაც მოგახსენებთ: მსოფლიო ჩემპიონს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ულიანოვსკში არ წასულიყო. ჯერ ერთი, იგი მზად არ იყო, მაგრამ, რაც მთავარია, ეშინოდა შარშანდელ ტრავმას არ გაეხსენებინა თავი. რომანი საღად მსჯელობდა: დავისვენებ, მოვემზადები, მერე კი თავს შეკრებაში გამოვცდიო. მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელებმა გასაქანი არ მოგვცეს, რურუა აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს ულიანოვსკში, რა მნიშვნელობა აქვს, როგორაა მომზადებული და რომელ ადგილს დაიკავებს ჩემპიონატშიო...

● **რა მოხდა მერე?**

— პირველ წრეში რომანი შეხვდა მთავარ კონკურენტს, კუიბიშეველ კოზინს, რომელიც ნაკრების შემადგენლობაში მეორე ნომრად ითვლება. მეტოქეები კარგად იცნობენ ერთმანეთს, ამიტომ ამ შეხვედრაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ერთ მომენტში მსაჯებს მოასპარეზეთა მოხსნაც კი უნდოდათ, მაგრამ ბოლოს ორივეს ფრე ჩაუთვალეს. მეორე წრეში რომანმა ქულებით დაამარცხა ერთი ადგილობრივი მოჭიდავე, მესამე წრეში კი ხისამუტდინოვს შეხვდა, რომელიც ბოლოს ჩემპიონი გახდა. რურუა ამ ბრძოლას 2 ქულით იგებდა და, ერთ მომენტში აქტიურობა რომ არ გამოეჩინა, შეინარჩუნებდა კიდეც უპირატესობას. მაგრამ მას გულმა არ მოუთმინა და საყვარელი ილეთის (ტრიალის) ჩატარება მოინდომა. როგორც ჩანს, მზად არ იყო ამისთვის, ვინაიდან ხისამუტდინოვმა უმალ „დახურა" მეტოქე და ხიდურზე შეაყენა. რომანი გაცხარდა, ბევრი „სდია" დაწინაურებულს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამ ერთმა საბედისწერო ქულამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი. ჩემპიონს 6 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, ტურნირს გამოეთიშა და XI ადგილზე აღმოჩნდა.

● **მაშ, თქვენი აზრით, ეს საბედისწერო ილეთი რომ არა, რომანი მოიგებდა შეხვედრას?**

— საქმე არც ამ ილეთშია და, ბოლოს და ბოლოს, არც ბრძოლის მოგებაში. რომანი ფიზიკურად არ იყო მზად, მით უმეტეს, ტრავმა ყოველ წუთს თავს ახსენებდა. მთავარი, ჩემი აზრით, ისაა, რომ მან ნერვულ დაძაბულობას ვერ გაუძლო. რურუასთვის ნერვებს ჯერ არ უღალატნია, ამჯერად კი სწორედ ამ ფაქტორმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

● **როგორ შეხვდნენ ნაკრების მწვრთნელები რურუას მარცხს?**

— მართალია, ხისამუტდინოვი ჩემპიონი გახდა, მაგრამ ტურნირის დამთავრების შემდეგ ნაკრების პირველ ნომრად ყველა მწვრთნელმა მსოფლიო ჩემპიონი დაასახელა. გაცილებით უფრო კრიტიკულად მიუდგა ამ მარცხს თვით რომანი, რომელმაც განაცხადა: მიუნხენში მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თავს თუ მზად ვიგრძნობო.

● **რას იტყვით ჯემალ მეგრელიშვილის ოქროს მედალზე?**

— ჯემალმა ოთხი შეხვედრა წმინდად მოიგო, დანარჩენები—ქულებით, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქართველი მოჭიდავე მთელი თავით მაღლა იდგა მეტოქეებზე. იმ შეხვედრებშიც, რომლებიც მეგრელიშვილმა წმინდად ვერ მოიგო, მისი უპირატესობა 8-10 ქულით განისაზღვრებოდა. მწვრთნელთა საბჭოს მიაჩნია, რომ საბჭოთა ნაკრებში ოქროს მედლის მიღების ყველაზე დიდი შანსი მეგრელიშვილს აქვს.

● **რა შთაბეჭდილება დატოვეს დანარჩენმა ქართველმა მოჭიდავეებმა?**

— ქებით უნდა მოვიხსენიოთ 19 წლის ლეჟავა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ მაისურაძე), რომელსაც ულიანოვსკში VI ადგილი ერგო. ლეჟავა ჯერ გამოუცდელი მებრძოლია, თორემ პრიზიორთა სამეულში უეჭველად მოხვდებოდა. ისე კი მწვრთნელებმა იგი უყოყმანოდ ჩარიცხეს ნაკრების კანდიდატთა სიაში. რაც შეეხებათ წიკლაურსა და ქურციკიძეს, ისინი სტარტზევე დამარცხდნენ და ჩემპიონატს ადრე გამოეთიშნენ.

• • •

გთავაზობთ პრიზიორთა სამეულებს:

48 კგ. 1. ა. შუმაკოვი („ბურევესტნიკი"), 2. გ. ჩავკა („სპარტაკი"), 3. ნ. ხიტრიაკოვი („კრასნოე ზნამია").

52 კგ. 1. ვ. არუთინიანი, 2. ვ. მატუნოვი (ორივე — „დინამო"), 3. კ. ოლზოევი („სპარტაკი").

57 კგ. 1. ფ. მუსტაფინი (საბჭოთა არმია), 2. ნ. ოშჩეპკოვი („სპარტაკი"), 3. ვ. ტრიფონოვი („ბურევესტნიკი").

62 კგ. 1. ჯ. მეგრელიშვილი, 2. ნ. დავიდიანი (ორივე — „დინამო"), 3. ა. კავკაევი (საბჭოთა არმია).

68 კგ. 1. შ. ხისამუტდინოვი („სპარტაკი"), 2. ა. ზობკოვი („დინამო"), 3. ბ. უმეროვი („ავანგარდი").

74 კგ. 1. ვ. მკრტიჩევი („შრომითი რეზერვები"), 2. ი. კლინსტონი („დაუგავა"), 3. ლ. ვრაზოვსკი („დინამო").

82 კგ. 1. ვ. კოსუხინი („სპარტაკი"), 2. ო. კიირენდი („დინამო"), 3. ვ. ბულინკო („კრასნოე ზნამია").

90 კგ. 1, ვ. რეზანცევი („დინამო"), 2. ი. ეელვესი (საბჭოთა არმია), 3. ი. გაფაროვი („შრომითი რეზერვები").

100 კგ. 1. ვ. მერკულოვი („სპარტაკი"), 2. ა. კარმაცკიხი („დინამო"), 3. ე. არტიუხინი (საბჭოთა არმია).

მძიმე. 1. ა. ზელენკო („კრასნოე ზნამია"), 2. ა. რომჩინი (საბჭოთა არმია), 3. ა. მოტინი („ლოკომოტივი").

„ლელო" ინტერვიუ

## [illegible]

### ლაგოდეხი

ქართულ ჭიდაობაში სოფელ შრომისა და ახმეტის რაიონის სოფელ აწყურის საშუალო სკოლების მოსწავლეთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა აწყურელთა გამარჯვებით დამთავრდა — 12:8.

• • •

კულტურის სახლში ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. გუნდურ პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 25 ნაკრები. I ადგილი წულუკიძის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ათლეტებს ხვდათ. II ადგილზე გავიდნენ თელაველები, III — ლაგოდეხელები. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: თ. კორინთელიშვილმა (ლაგოდეხი), პ. ლიპარტელიანმა, გ. განიძემ (ორივე — მახარაძე), თ. ხუგაევმა (თელავი), თ. გეგელაშვილმა (წულუკიძე), გ. დვალიშვილმა (მახარაძე), თ. წითელაურმა (თელავი), ვ. ბრეგვაძემ (ლაგოდეხი).

**ფ. კვირიკაშვილი.**

### აბაშა

სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა რაიონის სასკოლო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი კალათბურთში. საშუალო სკოლების გოგონებში I ადგილი დაიკავეს 1-ლი სკოლის ნორჩებმა. რვაწლიანი სკოლების გუნდების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ეწერელმა გოგონებმა, ჭაბუკებში ყველას აჯობა აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდმა.

**რ. ჟანტურია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




სსრ კავშირის პირველობა

# უმაღლესი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 25 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 8 | 4 | 3 | 1 | 10—3 | 11 |
| „ზარია" | 8 | 4 | 3 | 1 | 7—5 | 11 |
| „სპარტაკი" | 7 | 3 | 4 | 0 | 8—3 | 10 |
| „დინამო" (კ.) | 8 | 3 | 4 | 1 | 9—5 | 10 |
| „დინამო" (თბ.) | 8 | 3 | 3 | 2 | 9—4 | 9 |
| „ნეფთჩი" | 7 | 3 | 3 | 1 | 6—4 | 9 |
| „ტორპედო" | 8 | 3 | 3 | 2 | 6—6 | 9 |
| „დინამო" (მ.) | 6 | 3 | 2 | 1 | 7—4 | 8 |
| ასკ (როსტოვი) | 8 | 3 | 2 | 3 | 10—9 | 8 |
| „კარპატი" | 8 | 2 | 4 | 2 | 4—6 | 8 |
| „დნეპრი" | 8 | 2 | 3 | 3 | 7—8 | 7 |
| „დინამო" (მნ.) | 8 | 0 | 6 | 2 | 2—4 | 6 |
| „არარატი" | 7 | 2 | 1 | 4 | 7—7 | 5 |
| „ზენიტი" | 7 | 0 | 4 | 3 | 6—11 | 4 |
| „ლოკომოტივი" | 8 | 2 | 0 | 6 | 5—17 | 4 |
| „ყაირათი" | 8 | 0 | 3 | 5 | 6—13 | 3 |

# I ლიგა

## ქუთაისელთა ფრე

23 მაისს შედგა მორიგი ტური. ქუთაისის ტორპედოელებმა კუიბიშევში ფრედ (2:2) ითამაშეს ადგილობრივი „კრილია სოვეტოვთან".

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ზვეზდა" (პერმი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ალგა" (ფრუნზე) 1:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 4:2, „დინამო" (ლენინგრადი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 0:0. „შახტიორი" (ყარაგანდა) — „შახტიორი" (დონეცკი) 0:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:2, „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „პამირი" (დუშანბე) 0:1.

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:2. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

ხობელებმა საუკეთესოდ ითამაშეს ამ საპასუხისმგებლო მატჩში: ჯერ კუდრიაშოვმა ისარგებლა „სინათლის" ერთ-ერთი მცველის შეცდომით, ხოლო შემდეგ ჩხოლარიამ ანგარიში გაზარდა.

დისციპლინის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან თბილისელები ბ. სანოძე და გ. კვარაცხელია, ხობელი ვ. ჩხოლარია.

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „დინამო" (ზუგდიდი) 2:2. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ზუგდიდელები ორჯერ იყვნენ წინ და „მეტალურგმა" ორივეჯერ შეძლო თანაფარდობის აღდგენა, ამასთან, ორივე საპასუხო გოლი გლინიანოვმა გაიტანა (დინამოელთა მხრივ ბურთები გაიტანეს დარასელიამ და კარალევმა).

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „ვარკეთილი" (გარდაბანი) 3:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

დავითაიამ უკვე მე-5 წუთზე დააწინაურა „ეგრისი", ხოლო ტაიმის დასასრულს ქაჩიბაიამ ზუსტად გამოიყენა პენალტი. მატჩის ბოლო წუთზე იმავე ქაჩიბაიამ მეორედ გაიტანა ბურთი, ამჯერად 11-მეტრიანი დარტყმით.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 0:0. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

● „ივერია" (ხაშური) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 0:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

ხაშურელებმა ვერ შეძლეს თუნდაც ერთხელ მაინც დაემთავრებინათ გოლით თავიანთი საგრძნობი უპირატესობა. სამაგიეროდ, სტუმრების ერთ-ერთი კონტრიერიშს შესვენების შემდეგ ოდიშარიას ზუსტი დარტყმა მოჰყვა.

# საქართველოს პირველობა

● „სულორი" (ვანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 0:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

სამტრედიელები ძალიან უწესოდ იქცეოდნენ, რისთვისაც გაფრთხილება მიეცათ გ. დოლიძესა და ბ. ჯინჭველეიშვილს, აგრეთვე, მეკარე რ. კაპანაძეს. წლეულს მეორე გაფრთხილება მიიღო ვანელმა გ. ჩახუნაშვილმა.

● „სამცხე" (აწყური) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:1. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

● „ისანი" (თბილისი) — „განთიადი" (ბორჯომი) 2:2. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 3:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

რევაზიშვილის, ჩოჩიშვილისა და გელდიაშვილის ზუსტი დარტყმების შემდეგ მასპინძლები საგრძნობლად დაწინაურდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ბარაბაძემ ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

გაფრთხილებული არიან წულუკიძელები ს. ფარცხალაძე, პ. გიგინეიშვილი და ი. ჯანელიძე.

● ასკ (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 2:3. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

თბილისელები საგრძნობი უპირატესობით თამაშობდნენ პირველ ნახევარში და ორი ბურთიც გაიტანეს მეტოქის კარში (კვარაცხელია, ნადიროვი). შემდგომში მატჩის მსვლელობა მთლიანად შეიცვალა: ქობულეთელებმა პოლტაჩიდიმ და შაფათავამ შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, ხოლო შემდეგ მჟავანაძემ დააწინაურა თავისი გუნდი.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია არმიელი ი. ტოპოლსკოვი.

## მეორე ჯგუფი

### I ზონა

„მესხეთი" (ახალციხე) — „კოლმეურნე" (ტიბაანი) 0:0, „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) — „ვარძია" (ასპინძა) 3:0, „მევენახე" (ვაზისუბანი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 2:2, „შირაქი" (წითელი წყარო) — „ავტომობილისტი" (ცხინვალი) 1:0, „მევენახე" (ბოლნისი) — „ცისკარი" (სიღნაღი) 1:2, „ლურჯი [illegible]" — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:1, „გარისი" (თეთრი წყარო) — „[illegible]გვი" (დუშეთი) 2:1.

### II ზონა

„ჩიხურა" (საჩხერე) — „განახლება" (ადიგენი) 1:0, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) 0:0, „კახაბერი" (ხელვაჩაური) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 1:13, „განთიადი" (აბაშა) — „სქური" (წალენჯიხა) 2:0, „კომეტა" (ფოთი) — „დიოსკურია" (სოხუმი) 1:2, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „მზიური" (გალი) 2:1, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „იმერეთი" (თერჯოლა) 0:2, „სამგურალი" (წყალტუბო) — „დინამო" (ქუთაისი) 1:0.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

მდგომარეობა 25 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 15 | 9 | 4 | 2 | 20—14 | 22 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 15 | 8 | 5 | 2 | 20—9 | 21 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 14 | 8 | 3 | 3 | 28—14 | 19 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 15 | 7 | 5 | 3 | 24—16 | 19 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 15 | 7 | 4 | 4 | 21—19 | 18 |
| „სულორი" (ვანი) | 15 | 6 | 5 | 4 | 16—9 | 17 |
| „სამცხე" (აწყური) | 14 | 6 | 5 | 3 | 23—18 | 17 |
| „სინათლე" (თბილისი) | 13 | 5 | 5 | 3 | 14—9 | 15 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 14 | 6 | 3 | 5 | 13—15 | 15 |
| „კახეთი" (თელავი) | 14 | 5 | 4 | 5 | 17—17 | 14 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 15 | 5 | 4 | 6 | 16—18 | 14 |
| ასკ (თბილისი) | 12 | 5 | 3 | 4 | 16—11 | 13 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 14 | 4 | 5 | 5 | 14—13 | 13 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 15 | 5 | 3 | 7 | 15—25 | 13 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 15 | 3 | 6 | 6 | 22—21 | 12 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 14 | 3 | 6 | 5 | 7—12 | 12 |
| „ივერია" (ხაშური) | 15 | 4 | 4 | 7 | 12—26 | 12 |
| „ისანი" (თბილისი) | 14 | 4 | 3 | 7 | 14—15 | 11 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 15 | 5 | 1 | 9 | 22—25 | 11 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 15 | 4 | 3 | 8 | 11—16 | 11 |
| „განთიადი" (ბორჯომი) | 15 | 1 | 8 | 6 | 13—19 | 10 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 15 | 2 | 5 | 8 | 7—26 | 9 |

# სოფლის ფეხბურთელთა თასი

დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის ფეხბურთელთა შეჯიბრება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" თასზე.

გათამაშება ჩატარდება ორ ეტაპად: პირველი — ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების თასები 15 ივნისამდე, მეორე ეტაპი — ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულთა ტურნირი 15 ივნისიდან 15 ივლისამდე. მეორე ეტაპის ფინალური შეხვედრები ჩატარდება თბილისში.

თასის გათამაშების მატჩებში მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურის კოლექტივების გუნდები. მათს შეჯიბრებაში არ დაიშვებიან ფეხბურთელები, რომლებიც 1971 წელს თამაშობდნენ ოსტატთა გუნდებში, აგრეთვე, სტუდენტები და მოსწავლეები, რომლებიც უმაღლეს და სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში სწავლობენ დასწრებულ განყოფილებებზე. არ დაიშვებიან, აგრეთვე, სხვა კოლექტივებიდან მოწვეული მოთამაშეებით გაძლიერებული გუნდები და ისინიც, ვინც საკავშირო პირველობაზე გამოდის „ა" კლასში.

ფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და გაზეთ „სოფლის ცხოვრების" გარდამავალი თასით, აგრეთვე, „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველი ხარისხის დიპლომით.

# მოზარდთა ტურნირი

მოგვყავს ჭაბუკ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის განვლილი მატჩების შედეგები:

„მეტალურგი" (რუსთავი) — „განთიადი" (თბილისი) 2:4, „დილა" (გორი) — „გურია" (ლანჩხუთი) 4:0, „დინამო" (ბათუმი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) 2:2, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — განათლების განყოფილება (თბილისი) 0:1, „დინამო" (სოხუმი) — „კოლხეთი" (ფოთი) 3:0, „ტორპედო" (ქუთაისი) — „ავაზა" (თბილისი) 1:0, „მეტალურგი" — „დინამო" (თბილისი) 0:2, „ტორპედო" — განათლების განყოფილება 0:0, გაგრა — „ავაზა" 1:2, „გურია" — „ტორპედო" 2:1, „განთიადი" — სოხუმი 0:1, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — ახალგ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) 0:2, „სპორტინტერნატი" (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 2:1, „მერცხალი" (მახარაძე) — (ბათუმი) 2:1, „მეტალურგი" — „დილა" 1:1.

„მერცხალს" მოგება ჩაეთვალა მწვრთნელთა სკოლასთან, ხოლო თელავის გუნდს — „კოლხეთთან".

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 მაისისთვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გან. განყ. (თბილისი) | 16 | 11 | 4 | 1 | 46—9 | 26 |
| „დინ." (სოხ.) | 16 | 12 | 2 | 2 | 35—18 | 26 |
| ახ. საფ. სკ. (თბილისი) | 15 | 10 | 3 | 2 | 34—10 | 23 |
| „განთიადი" | 15 | 10 | 3 | 2 | 27—11 | 23 |
| „ტორპედო" | 16 | 9 | 4 | 3 | 30—11 | 22 |
| „დინ." ბ.) | 16 | 7 | 7 | 2 | 20—11 | 21 |
| „სპორტინტ." | 16 | 7 | 5 | 4 | 20—21 | 19 |
| „დინ." (თბ.) | 14 | 7 | 2 | 5 | 19—12 | 16 |
| „ავაზა" | 16 | 6 | 3 | 7 | 20—31 | 15 |
| „მეტალურგი" | 16 | 4 | 6 | 6 | 19—22 | 14 |
| „დილა" | 16 | 5 | 3 | 8 | 20—21 | 13 |
| „მერცხალი" | 16 | 4 | 3 | 9 | 16—35 | 11 |
| ახ. საფ. სკ. (გაგრა) | 16 | 4 | 1 | 11 | 14—33 | 9 |
| ახ. საფ. სკ. (თელავი) | 15 | 1 | 6 | 8 | 11—27 | 8 |
| მწვრთ. სკოლა | 15 | 2 | 4 | 9 | 9—26 | 8 |
| „გურია" | 16 | 3 | 1 | 12 | 12—29 | 7 |
| „კოლხეთი" | 16 | 1 | 1 | 14 | 7—32 | 3 |

# დაწინაურდა ხუგაშვილი

ქალთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება და შედგა IX ტური.

ხუთი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი თბილისელ ც. კახაბრიშვილს. მან მოუგო ნ. ჩიქობავას, ნ. ბაღაშვილს, ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ქ. გეგიძესთან და თ. ხუგაშვილთან, ხოლო ს. კალანდარიშვილთან (ყველა — თბილისი) კვლავ გადადო პარტია. ორჯერ დამარცხდა მ. გაგლოევა (თბილისი) — ბაღაშვილთან და გეგიძესთან. კალანდარიშვილმა მოუგო დ. ქობალიას, მ. მამისთვალოვამ — მ. წერეთელს (სამივე — თბილისი).

ყაიმით დამთავრდა პარტიები: მ. ჩიბურდანიძე (ქუთაისი) — ე. ბაშინურიძე (თბილისი), ბაღაშვილი — მამისთვალოვა. კვლავ გადაიდო გეგიძე — კალანდარიშვილის შეხვედრა.

IX ტურში მორიგი გამარჯვება იზეიმა ხუგაშვილმა, ამჯერად გეგიძესთან. ჩიქობავამ სძლია ქობალიას, ნ. ხუბულურმა (თბილისი) — კაგლოევას. მეორედ დამარცხდა თ. კაჭარავა (თბილისი), ამჯერად წერეთელთან. მამისთვალოვა — ჩიბურდანიძის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ორი პარტია გადაიდო. 9 ტურის შემდეგ ლიდერობს ხუგაშვილი — 7,5 ქულა. 6,5 ქულა აქვს კაჭარავას, 5 ქულა და 2 გადადებული პარტია — კახაბრიშვილს, 4,5 ქულა და 3 გადადებული პარტია—კალანდარიშვილს.

# ნაკრების დასაკომპლექტებლად

ზუგრესში (დონეცკის ოლქი) ბაიდარებითა და კანოეებით სსრ კავშირის თასის გათამაშებაში გამარჯვებულთა შესახებ მასალები „ლელოში" უკვე გამოქვეყნდა, მაგრამ მაშინ რედაქციას ხელთ არ ჰქონდა საქართველოს სპორტსმენთა შედეგები.

ტურნირში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის 8 ნიჩბოსანი, რომელთა შორის 5 (ნ. ლუცენკო, ზ. ხოფერია, ნ. ჩარაევი, თ. ჩიტაია და ვ. კრატასიუკი) სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატია.

ფოთელი კრატასიუკი ნ. გორბაჩოვთან (ბელორუსია) დუეტში ორადგილიანი ბაიდარით ასპარეზობდა და 10000 მეტრზე რბოლაში პირველობაც დაისაკუთრა — 39.41,5. აქ ბათუმელი ვ. ვიშნიაკოვისა და თბილისელი ნ. პიატაკოვის დუეტმა VI ადგილი მოიპოვა. კრატასიუკ — გორბაჩოვის წყვილი 1000 მეტრზე V ადგილს დასჯერდა.

კრატასიუკმა ერთადგილიანი ბაიდარით 1000 მეტრზე სცადა ძალა, სტარტიდან დაწინაურდა კიდევაც და მანძილის ნახევარზე მეტს ლიდერობდა, მაგრამ შემდეგ თავთხელში მოხვდა, ტემპი დაკარგა, ჩამორჩა და VII ადგილს დასჯერდა.

ორადგილიანი კანოეებით 1000 მეტრზე შეჯიბრებაში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონებმა, ფოთის ვოდნიკელებმა ხოფერიამ და ჩარაევმა (4.29,5) III ადგილი მწვავე ბრძოლაში დათმეს, 10000 მეტრზე კი უარესად გამოვიდნენ: VI ადგილი — 45.21,6.

ქალთა შეჯიბრებაში საქართველოდან მხოლოდ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის პრიზიორი, ფოთელი ნ. ლუცენკო მონაწილეობდა. სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე იგი ავად იყო და იქნებ ამიტომაც ფინალის საგზურისთვის 0,1 წამი არ ეყო, თუმცა პირადი შედეგი მაინც გააუმჯობესა.

სსრ კავშირის ქალთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. სავინა (მოსკოვი) ლუცენკოს მაჩვენებლებით კმაყოფილია. იგი ლუცენკოს პერსპექტიულ სპორტსმენად თვლის და ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთ ძირითად კანდიდატად მიაჩნია.

ოლიმპიური ნაკრები გუნდის საბოლოო დაკომპლექტება მოხდება ამ დღეებში ერევანში გამართული საკავშირო პირადი ტურნირისა და ივლისის ბოლოს ჟიტომირში ჩატარებული ქვეყნის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით.

ლ. ხეცურიანი.




სსრ კავშირის ჩემპიონატი

# 5 ქულით V ადგილზე

ზაპოროჟიეში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოსწინა, VI ტურის მატჩები. თბილისის „ბურევესტნიკმა" კრასნოდარის „უნივერსიტეტთან" უაღრესად დაძაბული ბრძოლა ფრედ დაამთავრა — 10:10. მეორედ დამარცხდა ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდი, რომელმაც წააგო შეხვედრა მოსკოვის „კუნცევოსთან" (11:14), ხოლო პირველი გამარჯვება იზეიმა ზაპოროჟიეს „ალუმინსტროიმ": ტაშკენტელ სტუდენტებს სძლია — 15:12. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებმა ზედიზედ მეექვსედ გაიმარჯვეს, ამჯერად ცსკას-თან — 26:15.

6 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საავ. ინსტ. | 6 | 6 | 0 | 0 | 121—83 | 12 |
| მეტალ. ინსტ. | 6 | 4 | 0 | 2 | 80—64 | 8 |
| „კუნცევო" | 6 | 2 | 4 | 0 | 81—77 | 8 |
| „უნივერსიტ." | 6 | 2 | 3 | 1 | 86—81 | 7 |
| „ბურ." (თბ.) | 6 | 2 | 1 | 3 | 79—91 | 5 |
| ცსკა | 6 | 1 | 2 | 3 | 87—102 | 4 |
| „ალუმინსტ." | 6 | 1 | 1 | 4 | 78—95 | 3 |
| „ბურ." (ტ.) | 6 | 0 | 1 | 5 | 91—110 | 1 |

# ოთხ სახეობაში

თბილისის უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყების შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი და ტყვიის სროლა.

ჭადრაკში ჩემპიონი გახდა ა. ქაჩლიშვილი (მე-11 საამქრო), სროლაში — გ. კერესელიძე (ადმინისტრაცია), შაშში — რ. გოგოლაძე (მე-12 საამქრო), მაგიდის ჩოგბურთში I ადგილი ხვდა თ. გოგილაშვილს (1-ლი საამქრო).

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა მე-3 საამქრომ.

ი. ხაბეიშვილი.

# საიმედო ბევრი არაფერია

თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით მძლეოსანთა შეჯიბრება ორ ასაკობრივ ჯგუფად გაიმართა. საშუალო ასაკის სპორტსმენთა ტურნირი და პიონერული ოთხჭიდის შეჯიბრებები ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდა, უფროსი ასაკის მძლეოსნებისთვის კი შეჯიბრება ცალკე მოეწყო, ვინაიდან მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებისთვის (კიევი) სწორედ ამ ასაკის სპორტსმენები იბრძოლებენ.

პიონერული ოთხჭიდის პროგრამაში იყო 60 მეტრზე რბენა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ჩოგბურთის დამძიმებული ბურთის ტყორცნა.

გოგონათა შორის გამარჯვებულმა, 116-ე სკოლის მოსწავლე ი. აშოსოვამ (პირველი მაისის რაიონი) 60 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში მესამე თანრიგის ნორმატივები შეასრულა (8,4 და 466 შესაბამისად), 125 სმ სიმაღლე დაძლია, ხოლო ბურთი 35 მეტრზე ტყორცნა და საბოლოოდ 241 ქულა მოაგროვა. მეორე პრიზიორმა, მე-13 სკოლის მოსწავლე ლ. ამირხანოვამაც (კალინინის რაიონი) 60 მეტრზე რბენაში (8,4 წამი) და სიგრძეზე ხტომაში (463 სმ) მესამე თანრიგის ნორმატივი შეასრულა, მაგრამ მხოლოდ 115 სმ სიმაღლის გადალახვა შეძლო, ბურთი კი 34 მეტრზე ტყორცნა და 226 ქულას დასჯერდა. III ადგილზეა 134-ე სკოლის მოსწავლე ნ. მარგიშვილი (ლენინის რაიონი) — 215 ქულა.

ბიჭების შეჯიბრება მოიგო მარგიშვილის თანასკოლელმა, პიონერმა თ. ჯაფარიძემ — 239 ქულა. მან მეორე პრიზიორს, 65-ე სკოლის წარმომადგენელ ი. ჩორგოლაშვილს (კიროვის რაიონი) 18 ქულა მოუგო. III ადგილი წილად ხვდა 43-ე სკოლის მოსწავლეს ა. გასპარიანს (კალინინის რაიონი) — 220 ქულა.

რაც შეეხება საშუალო ასაკის მძლეოსანთა ტურნირს, აქ მნიშვნელოვანი წარმატება არავის მოუპოვებია. მეორე თანრიგის შედეგები მხოლოდ ორმა გამარჯვებულმა გოგონამ აჩვენა: მ. კიკნაველიძემ (ორჯონიკიძის რაიონი) 155 სმ სიმაღლე დაძლია, ნ. ლოლაძემ (კალინინის რაიონი) კი 100 მ 12,8 წამში გაირბინა.

შეჯიბრებისთვის ყველაზე უკეთესად მომზადებული კოლექტივები გამოიყვანეს 26 კომისრისა და ორჯონიკიძის რაიონებმა და საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის ბრძოლაც სწორედ მათს შორის მიმდინარეობდა. საბოლოოდ, 26 კომისრის რაიონის მოზარდებმა 8324 ქულა მოაგროვეს, ორჯონიკიძის რაიონის მოსწავლეებმა კი 7829. III ადგილზე გასული პირველი მაისის რაიონის მძლეოსნების შედეგია 4263 ქულა.

პირად ტურნირში ყველაზე მეტი (6-6) გამარჯვება სწორედ 26 კომისრისა და ორჯონიკიძის რაიონების მძლეოსნებმა მოიპოვეს. თავის გუნდს 2 პირველი ადგილი მოუტანა მე-60 სკოლის მერვეკლასელმა, რესპუბლიკაში ცნობილი სპორტსმენების ლ. და მ. ტუღუშების ქალიშვილმა ელეონორამ (ორჯონიკიძის რაიონი), რომელმაც ბადროს ტყორცნასა (28,80) და ბირთვის კვრაში (11,25) მესამე თანრიგის ნორმატივები შეასრულა. მას არც თანაგუნდელი ი. რიჟოვა ჩამორჩა. ამ გოგონამ ორი დისტანცია მოიგო (400 მ — 1.04,7, 800 მ — 2.33,1). ბიჭებში ორმაგი წარმატება იზეიმა ლენინის რაიონის გუნდის წევრმა გ. ქემოკლიძემ — ბირთვის კვრასა (11,68) და ბადროს ტყორცნაში (40,10).

ოქტომბრისა (727 ქულა) და კიროვის (317) რაიონების მძლეოსნები სუსტად გამოვიდნენ.

პირად ტურნირში დაბალ შედეგებს სპეციალისტები იმით ხსნიან, რომ ლენინის სტადიონზე შეჯიბრებისთვის ნორმალური პირობები არ არსებობს.

ტურნირმა ცხადყო, რომ ამ ასაკში მთელ რიგ სახეობებში სათანადო რეზერვი არ იზრდება. დაბალ შედეგებს ისიც ემატება, რომ ზოგჯერ სტარტზე თითო-ოროლა (ჭოკით ხტომა, შუბის მტყორცნელ გოგონათა შეჯიბრება, ბირთვის კვრა, სიმაღლეზე ხტომა) მძლეოსანი გამოდიოდა.

მოსწავლეთა შორის მძლეოსნობის განვითარებისთვის 26 კომისრის რაიონში მუდამ გაცილებით უკეთ ზრუნავენ, ვიდრე სხვაგან, მაგრამ კიროვის რაიონი მაინც განსაკუთრებით ჩამორჩება.

 რ. მაღრაძე.

## [illegible]-72

● მიტო, 23 მაისი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა თავისი იაპონური ტურნეს მესამე მატჩი აქ გამართა — ანგარიშით 3:2 სძლია ამომავალი მზის ქვეყნის ეროვნულ გუნდს. ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო. პარტიების ანგარიშია: 2:15, 8:15, 15:11, 15:12, 15:8. დაგეგმილი 6 ამხანაგური მატჩიდან უკვე გაიმართა სამი, რომელთაგან ბოლო ორი საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ დამთავრდა.

● კომო (იტალია), 23 მაისი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მინსკელმა ე. ნოვიკოვამ ყველას აჯობა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „ვერცხლის რაპირის“ თასზე. ფინალში მან უნგრელ ი. ბობიშს სძლია.

● კიევი, 23 მაისი. სსრ კავშირში სტუმრად არიან გფრ-ის წყალბურთელები. დღეს აქ მათ მესამე მატჩი გამართეს, ამჯერად ადგილობრივ „დინამოსთან“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:2. წინა ორი შეხვედრა მათ სსრ კავშირის ნაკრებთან ჰქონდათ. ორივე მატჩი საბჭოთა წყალბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 2:1 და 6:3.

● ალექსანდრია, 23 მაისი. არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტეში სტუმრად მყოფმა ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელებმა ადგილობრივ გუნდთან შეხვედრა ფრედ დაამთავრეს — 2:2.

## ჩემპიონატები, თასები, რეკორდები

**• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABДARUGAS •**

### „რეალი“ — მეთხუთმეტედ!

ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო, 34-ე ტურში მადრიდის „რეალმა“ შინ — „ბერნაბეუს“ სტადიონზე იოლად სძლია „სევილიას“ (4:1) და მეთხუთმეტედ მოიხვეჭა ქვეყნის პირველი გუნდის ტიტული (1969-70 წლების სეზონში ჩემპიონობა მადრიდის „ატლეტიკომ“ მოიპოვა, ხოლო 1970-71 წლების სეზონში — „ვალენსიამ“).

„რეალის“ ახლანდელ შემადგენლობაში, რომელიც საგრძნობლად გაახალგაზრდავებულია, კვლავ ბრწყინვალე ოსტატობით გამოირჩევა ვეტერანი მარჯვენა გარემარბი ამანსიო. ნახევარდაცვისა და მთელი გუნდის სული და გულია უბადლო ოსტატი, შესანიშნავი ტაქტიკოსი, დაუღალავი პირი, ხოლო დაცვაში პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ბენიტო. თავდასხმაში კვლავ თამაშობს ველასკესი. ანსარდას, აგილარისა და სანტილიანას სახით „რეალს“ ძალიან პერსპექტიული მოთამაშეები შეემატა.

„რეალს“ 2 ქულით ჩამორჩა „ვალენსია“, რომელმაც ბოლო ტურში შინ სძლია სან-სებასტიანის „რეალ სოსიედადს“ — 2:1. გადამწყვეტი გოლი გაიტანა ვალენსიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კინომ.

აი, პირველი ხუთეული:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 34 | 19 | 9 | 6 | 51:27 | 47 |
| „ვალენსია“ | 34 | 19 | 7 | 8 | 53:30 | 45 |
| „ბარსელონა“ | 34 | 17 | 9 | 8 | 40:26 | 43 |
| „ატლეტიკო“ (მადრიდი) | 34 | 14 | 11 | 9 | 45:28 | 39 |
| „უნიონ ლას-პალმასი“ | 34 | 15 | 8 | 11 | 40:36 | 38 |

(საქ. ინფ.).

### ბილეთი აღარ დარჩა

როტერდამიდან იტყობინებიან, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩზე ამსტერდამის „აიაქსსა“ და მილანის „ინტერნაციონალეს“ შორის უკვე ყველა ბილეთი გაიყიდა. მათი ნაწილი, ცხადია, იტალიელ „ტიფოზებს“ ხვდათ. იტალიელები გულმოკლულნი არიან, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი მატჩი მეტოქის ქვეყანაში იმართება. თუმცა, ეს ჯერ კიდევ შარშან იყო გადაწყვეტილი, როცა, ცხადია, არავინ იცოდა, რომ ფინალში სწორედ „აიაქსი“ გავიდოდა.

### ბესტი თავს ანებებს... ფეხბურთს

ეს ცნობა მეხივით გავარდა მთელს დიდ ბრიტანეთში. ინგლისის სპორტული გაზეთები, და არა მარტო სპორტული პრესა, ერთობ დიდ ადგილს უთმობენ „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების მარჯვენა გარემარბის, საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელის ჯორჯ ბესტის ამ უცნაური განცხადებისადმი მიძღვნილ კომენტარებს.

ზოგიერთ გაზეთს ეს განცხადება ბესტის სენსაციურ ტრიუკად მიაჩნია, მაგრამ ფეხბურთელი ამბობს, რომ მისი გადაწყვეტილება მტკიცეა. მან პირდაპირ ასე თქვა: ახალ ცხოვრებას ვიწყებო, თანაც აღნიშნა, რომ ძალას ცდის... კინოხელოვნებაშიც. (საქ. ინფ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ჯ. ბესტი თავის მეგობართან, კინომსახიობ სინედ კუზაკთან ერთად.

იუნაიტედ პრესის ფოტო.



### მსოფლიოს „მცირე ჩემპიონატის“ კალენდარი

ბრაზილიის საერთაშორისო ტურნირი, ეგრეთ წოდებული მსოფლიოს „მცირე ჩემპიონატი“ საყოველთაო ინტერესს იწვევს. ორგანიზატორებმა უკვე გამოაქვეყნეს მისი კალენდარი.

**I შესარჩევი ჯგუფი. 11 ივნისი.** საფრანგეთი — კოლუმბია, არგენტინა — აფრიკის წარმომადგენელი. **14.** საფრანგეთი — აფრიკის წარმომადგენელი, ცენტრალური ამერიკის წარმომადგენელი — კოლუმბია. **18.** საფრანგეთი — ცენტრალური ამერიკის წარმომადგენელი, არგენტინა — კოლუმბია. **21.** არგენტინა — ცენტრალური ამერიკის წარმომადგენელი, კოლუმბია — აფრიკის წარმომადგენელი. **25.** საფრანგეთი — არგენტინა, აფრიკის წარმომადგენელი — ცენტრალური ამერიკის წარმომადგენელი.

**II შესარჩევი ჯგუფი. 11 ივნისი.** პორტუგალია — აზიის წარმომადგენელი, ჩრდილოეთ ირლანდია — ეკვადორი. **14.** ჩრდილოეთ ირლანდია — აზიის წარმომადგენელი, ეკვადორი — ჩილი. **18.** ეკვადორი — აზიის წარმომადგენელი, პორტუგალია — ჩილი. **21.** ეკვადორი — პორტუგალია, ჩილი — ჩრდილოეთ ირლანდია. **25.** ჩილი — აზიის წარმომადგენელი, პორტუგალია — ჩრდილოეთ ირლანდია.

**III შესარჩევი ჯგუფი. 11 ივნისი.** პერუ — ვენესუელა, იუგოსლავია — ბოლივია. **14.** იუგოსლავია — ვენესუელა, პერუ — პარაგვაი. **18.** იუგოსლავია — პარაგვაი, ვენესუელა — ბოლივია. **21.** ბოლივია — პერუ, პარაგვაი — ვენესუელა. **25.** ბოლივია — პარაგვაი, პერუ — იუგოსლავია.

**I ნახევარფინალური ჯგუფი.** ბრაზილია, შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია და III შესარჩევ ჯგუფში გამარჯვებული გუნდი წრიული სისტემით ხვდებიან ერთმანეთს 28 ივნისიდან 6 ივლისამდე.

**II ნახევარფინალური ჯგუფი.** ურუგვაი, სსრ კავშირი, I და II შესარჩევ ჯგუფებში გამარჯვებული გუნდები. 28 ივნისი-6 ივლისი.

9 ივლისს რიო-დე-ჟანეიროში „მარაკანას“ სტადიონზე გაიმართება ფინალური მატჩი ნახევარფინალებში გამარჯვებულებს შორის. ამავე სტადიონზე ფინალური მატჩის წინ ერთმანეთს შეხვდებიან III საპრიზო ადგილის პრეტენდენტები.

### მოკლედ

● **ლონდონი.** ცნობილი ნახევარმცველი მალერი (35 მატჩი — ინგლისის ნაკრებში) „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ხელმძღვანელობამ ფორმიდან გამოსულად მიიჩნია და სათადარიგო შემადგენლობაში გადაიყვანა. ამის საპასუხოდ მალერიმ „ფულჰემში“ გადასვლა განიზრახა.

● **რომი.** იტალიის რადიო-სატელევიზიო კომპანია რაი-მ ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას 9 მილიონი შვეიცარიული ფრანკი გადაუხადა 4 წლის ვადით მატჩების გადაცემის უფლებისთვის.

● **რიო-დე-ჟანეირო.** გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელის დიდის ვაჟმა, 18 წლის ვალდირ პერეირამ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ვენესუელის კლუბ „დეპორტივო იტალიანო დე კარაკასთან“.

● **ბერნი.** ფიფა-ს ხელმძღვანელებს თათბირი ჰქონდათ სამ სატელევიზიო ფირმასთან 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების გადაცემის თაობაზე. მოელიან, რომ ამ საქმეში ფიფა სულ ცოტა 18 მილიონ მარკას მიიღებს.

● **სანტ-იაგო.** ჩილის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა დასავლეთგერმანელი სპეციალისტი რ. გუტენდორფი, რომელსაც დაევალა გუნდის მომზადება მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატისთვის.

● **მილანი.** „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელი ინვერნიცი სპორტის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისთვის ორდენით დაჯილდოვდა.

● **ლიეჟი.** ცნობილ ბელგიურ კლუბს, ადგილობრივ „სტანდარდს“ წლეულს შემოდგომაზე დაარსებიდან 75 წელი უსრულდება. ამ თარიღის აღსანიშნავად „სტანდარდს“ განზრახული აქვს დიდი საერთაშორისო ტურნირის მოწყობა.

რედაქტორი მ. პაპაზაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უე 04534